პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№61 (5091)

1974 წ. 27 მარტი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადაში ვ. როჩევმა (კომის ასსრ) ორი ოქროს მედალი მოიპოვა: გაიმარჯვა 15 და 30 კმ-ზე რბოლაში.

• • •

სურათზე: ვ. როჩევი.

ა. იაკოვლევისა და ა. გრახოვის ფოტო (საკდესი).

მომზადებული შევხვდეთ სპორტულ ზაფხულს!

საერთო საქმე — საერთო ძალით

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ მიიღეს ერთობლივი დადგენილება ზაფხულის სპორტული სეზონისთვის ბაზების მომზადების ერთთვიურის ჩატარების შესახებ.

ღონისძიების მიზანი ისაა, რომ პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა 1 აპრილიდან 1 მაისამდე რესპუბლიკაში ფართოდ გაშალონ მარტივი ტიპის მოედნების, ტირენისა და წინაღობათა ზოლების მშენებლობა, გააჩაღონ მუშაობა არსებული სპორტული ბაზების კეთილმოწყობისთვის, მათი საჭირო ინვენტარითა და აღჭურვილობით დროულად მომარაგებისთვის, იზრუნონ ამ ბაზებისა და ნაგებობების თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებებით — ლოზუნგებით, პლაკატებით, სპორტული გაზეთებითა და ფოტოვიტრინებით, სტენდებით უზრუნველყოფისთვის, მიაღწიონ უქმე და გამოსასვლელ დღეებში ნაგებობების, დასვენების ზონების, ტურისტული ბაზების უფრო ეფექტურ გამოყენებას.

პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა სპორტულ ნაგებობათა კეთილმოწყობის ერთთვიურში უნდა ჩააბან რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდობა, აქტივი, მიაღწიონ იმას, რომ ყველა ასაკის მოსახლეობა მიიზიდონ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად.



ДИДОСТАТЕБИ ПИОНЕРЕБТАН ЕРТАД

გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ“ ტრადიციად აქცია თავის პრიზზე პიონერთა სასახლეების საკავშირო საჭადრაკო ტურნირის გამართვა.

მოსწავლეთა მარტის არდადეგების დღეებში მოსკოვში, ძალოსნობის სასახლეში, გაზეთის თასის მეორე გათამაშების ფინალური ტურნირი დაიწყო. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოსკოვის (კაპიტანი დიდოსტატი ი. აივრბახი), ლენინგრადის (დიდოსტატი ვ. ტაიმანოვი), რიგის (დიდოსტატი მ. ტალი), ჩელიაბინსკის (დიდოსტატი ლ. პოლუგაევსკი), ჩერნოვცის (დიდოსტატი გ. კუზმინი) და ბაქოს (საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაგიროვი) სასახლეების გუნდები.

ამ შეჯიბრების თავისებურება ისაა, რომ გუნდებში აღიარებული მოჭადრაკეებიც არიან შეყვანილი. ეს მოჭადრაკეები რიგრიგობით შეხვდებიან ყველა სასახლის გუნდებს (რა თქმა უნდა, თავიანთი კოლექტივების გარდა) საათებით ერთდროული თამაშის სეანსში. გამარჯვებულად გამოცხადდება ის გუნდი, რომელიც ყველაზე დიდ ქულათა ჯამს დაგაგროვებს. ჯამს შეადგენს დიდოსტატის ან ოსტატის მიერ სეანსებში ნაჩვენები შედეგები და მათი გუნდის წევრთა ქულები სხვა დიდოსტატებთან სეანსებში.

სპეციალისტების აზრით, პიონერები დიდოსტატებთან ჰაეროგაში ძვირფას გამოცდილებას იძენენ.

გუშინწინ გაიმართა I ტური. აი, მიხი შედეგებიც: მოსკოვი — ჩერნოვცი 8,5:5,5, ლენინგრადი — ჩელიაბინსკი 7,5:6,5, რიგა — ბაქო 7:7.

აი, პირველი სიურპრიზებიც: ჩელიაბინსკელმა პირველთანრიგოსანმა ს. სკრიპნიკოვმა მოუგო ტაიმანოვს, ხოლო ბაქოელმა რ. კორსუნსკიმ — ტალს.

• • •

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ტ. ბაუენოვისა და ა. ბორისოვის ფოტო.

(„კომსომოლსკაია პრავდა“).

КИДЕВ 6 ФИНАЛИСТИ

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე გაჟთა ჩემპიონატის მეორე ნახევარფინალური ტურნირი. დედაქალაქის 88 მოჭადრაკე იბრძოდა ფინალის 6 საგზურისთვის. ტურნირი შვეიცარიული სისტემით ჩატარდა. გათამაშდა 11 ტური.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ I-V ადგილები გაიყვეს ოსტატებმა ა. ბოკუჩავამ, ა. ბუსლაევმა, თ. ლომაიამ, აგრეთვე, ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატებმა მ. ჭიპაშვილმა და კ. ჩიგოგიძემ — 8-8 ქულა.

ფინალის მეექვსე საგზური ხვდა გამოცდილ ოსტატობის კანდიდატს ე. მიქაელიანს, რომელმაც მონაწილეთა დიდ ჯგუფთან ერთად 7,5 ქულა მოაგროვა, მაგრამ ყველას გაუსწრო კოეფიციენტთა ცხრილით. სხვათა შორის, კოეფიციენტთა ცხრილის გამო ფინალში ვერ გავიდნენ ოსტატები ი. ჩიქოვანი, ა. იზვოზჩიკოვი და თ. კიკიანი.

ნახევარფინალში უკონკურსოდ მონაწილეობდა 13 წლის ოსტატი მაია ჩიბურდანიძე. მან 6,5 ქულა მოაგროვა. წარმატებად უნდა მივიჩნიოთ ოსტატ თამარ ხუციშვილის თამაშიც. მან ბრძოლა 6 ქულით დაამთავრა.

ა. ნიკოლაძე.

ᲐᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ

თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკაღზრდისა და სპორტის კათედრის მასწავლებელთა ანკეტამ, რომლის მიზანიც 1973 წელს უნივერსიტეტის 10 საუკეთესო სპორტსმენის დასახელება იყო, ასეთი შედეგები მოგვცა: 1. ლ. თედიაშვილი — იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, მსოფლიო ჩემპიონი სამბოში, ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, 2. ა. მეტრეველი — ფილოლოგიური ფაკულტეტის ასპირანტი, ჩოგბურთში სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და ბევრ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებული, 3. ა. მოშიაშვილი — იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, სსრ კავშირის ჩემპიონი 110 მეტრზე თარჯრბენში, 4 რ. ჭიკაიძე — ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი, სსრ კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის ჭიდაობა სამბოში, 5. ნ. ალექსანდრია — დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ლაბორანტი, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი ჭადრაკში, 6. ჯ. კბილაშვილი — ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი, სსრ კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის ძიუდოში, 7. თ. ნოსელიძე — ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტი, სსრ კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის ძიუდოში, 8. ო. ყურაშვილი — ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტი, სსრ კავშირის ჩემპიონი ძიუდოში, 9. დ. მელაძე — ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი, 4×100 მეტრზე ესტაფეტაში სსრ კავშირის რეკორდსმენი ჭაბუკ მძლეოსანთა შორის, 10. თ. აჯოევი — იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, 4×100 მეტრზე ესტაფეტაში სსრ კავშირის რეკორდსმენი ჭაბუკ მძლეოსანთა შორის.

საკდესი მოგვითხრობს

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲝᲚᲔᲯᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲑᲨᲘ

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲔᲥᲡᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ

რიგის ლენინის რაიონის სპორტის სასახლის ერთ-ერთ დარბაზში გაიხსნა ლატვიის სპორტული მოძრაობის ისტორიის მუდმივი ექსპოზიცია. იგი მოიცავს პერიოდს გასული საუკუნის დამლევიდან (ლატვიის დედაქალაქში სპორტის მოყვარულთა პირველი წრეები მაშინ ჩამოყალიბდა) ჩვენს დღეებამდე.

ექსპოზიციას საფუძვლად დაედო სპორტის ვეტერანის, 80 წლის ვ. შმიდბერგის მდიდარი კოლექცია. შმიდბერგს სათუთად ჰქონდა შენახული ველოსიპედები ხის მანგებით, წვერბასრი ჭოკი — რუსეთის II ოლიმპიადის (1914 წ.) სახსოვარი, 60 წლის თვითნაკეთი შტანგა, ათასობით ძვირფასი ფოტოსურათი, პროგრამა, პრიზი. 1895 წლის მედალი გვამცნობს, რომ რიგელ ველოსიპედისტს ი. ლისარს რეკორდი დაუმყარებია ეგრეთ წოდებულ „სასიკვდილო გარბენში“, როცა ერთ საათში 28 ვერსი და 1450 ფუტი გაუვლია.

სპეციალური სტენდები ეძღვნება ლატვიელ სპორტსმენთა გამოსვლებს რუსეთის I ოლიმპიურ თამაშებში კიევსა და რიგაში. ექსპოზიციაში ასახულია ლატვიის წითელ მსროლელთა რაზმებში გაერთიანებულ სპორტსმენთა სამხრეთლო გზა (სხვათა შორის, შმიდბერგიც ამ რაზმებში იყო). ერთ-ერთ ფოტოსურათზე აღბეჭდილი არიან კრემლის დაცვის უფროსი, მძლეოსანი ვ. ოზოლი და საბჭოთა მთავრობის მეკავშირენი კრემლში, ველოსიპედებზე ამხედრებული ლატვიის წითელი მსროლელები.

ექსპოზიცია გვიამბობს იმასაც, თუ როგორ ცდილობდნენ ბურჟუაზიული ლატვიის მმართველი წრეები ახალგაზრდები სპორტის დახმარებით ჩამოეშორებინათ კლასობრივი ბრძოლისგან. სტენდზე გამოკრულია ამონაწერი ბურჟუაზიული სასამართლოს 1932 წლის გადაწყვეტილებიდან მუშათა ფიზკულტურული საზოგადოება „ენერგიის“ არსებობის აკრძალვის შესახებ — „კომუნისტური მოღვაწეობისთვის“.

ბევრი ფოტოსურათი და დიაგრამა ეძღვნება ლატვიის რესპუბლიკის პირველ სპარტაკიადებს, მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებას, ლატვიელ სპორტსმენთა გამარჯვებებს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებში.

ეს მუდმივი ექსპოზიცია საფუძვლად დაედება საბჭოთა ლატვიის სპორტის მუზეუმს.

ე. კეხრისი.

რიგა

„თოვლის სნაიპერი“

უდმურტეთის სოფელ შარკანის საშუალო სკოლის სპორტსმენებს ახალი ჯილდო — პრიზი „თოვლის სნაიპერი“ ბიატლონში მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ვ. მამატოვმა გადასცა. სწორედ „თოვლის სნაიპერი“ ერქვა რუსეთის პიონერთა და მოსწავლეთა პირველ შეჯიბრებას ბიატლონში, რომლის ფინალიც ნოვოსიბირსკში მოეწყო.

ფინალურ შეჯიბრებაში რუსეთის ფედერაციის ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ასზე მეტი ნორჩი ბიატლონისტი ჩაება. მონაწილენი დაყოფილი იყვნენ სამ ასაკობრივ ჯგუფად (12-დან 18 წლამდე). პირველ დღეს მოეწყო შეჯიბრებები 2, 3 და 5 კილომეტრზე (ასაკის შესაბამისად) სათხილამურო რბოლაში. მეორე დღეს ბიატლონისტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მცირეკალიბრიანი და პნევმატური შაშხანის სროლაში.

ფინალში II ადგილი დაიკავა ნოვოსიბირსკის მე-180 საშუალო სკოლის გუნდმა. III ადგილზე არიან მურმანსკის ოლქის სოფელ უმბის 1-ლი საშუალო სკოლის სპორტსმენები.

ნოვოსიბირსკი.

ᲫᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲕᲐ ᲝᲠᲐᲡᲛᲐ ᲒᲠᲐᲛᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ

ბაქოში მიმდინარეობს იუნიორ ძალოსანთა საკავშირო პირველობა, რომელშიც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის 150 წარმომადგენელი მონაწილეობს.

უმრაცეს წონაში I ადგილი მოიპოვა ოდესელმა ვ. ლურიემ. მან 85 კგ აიტაცა, 110 კგ აჭარა და ორჭიდში 195 კგ დააგროვა. II-III ადგილებზე გავიდნენ რსფსრ-ს სპორტსმენები ვ. სევერიანოვი და ს. მინინი, რომლებსაც ერთნაირი მაჩვენებელი — 185 კგ აქვთ.

ქვემსუბუქ წონაში გაიმარჯვა სვერდლოვსკელმა არმიელმა ი. კაზაკოვმა. მან ორჭიდში 257,5 კგ (112,5+145) აჩვენა, რაც იუნიორთა საკავშირო რეკორდია და წინანდელს 5 კილოგრამით სჯობს. II ადგილზე გავიდა პერმელი ლ. ბუბნოვი — 232,5 კგ, III — სიმფეროპოლელი მ. ვინდოვერი — 227,5 კგ.

მსუბუქი წონის უკრაინელმა ძალოსანმა ვ. შუბამ საკავშირო რეკორდი დაამყარა აკვრაში — 156 კგ, მაგრამ საბოლოოდ III ადგილზე აღმოჩნდა. ერთნაირი შედეგი — 267,5 კგ — ჰქონდათ რსფსრ-ს წარმომადგენელს ა. შხაგოშევს და სომეხ ძალოსანს ს. მეელუმიანს, მაგრამ I ადგილი შხაგოშევს მიეკუთვნა, როგორც მეტოქეზე 200 გრამით მსუბუქს.

მარადიული სიჭაბუკისთვის

ძველბერძნულ მითოლოგიაში იყო ერთი ასეთი სიუჟეტი: ყოვლისშემძლე ზევსმა უკვდავება მიანიჭა ტითონოსს, ქალღმერთ ეოსის რჩეულს. მიანიჭა უკვდავება და არა მარადიული სიჭაბუკე. გავიდა წლები და ტითონოსი დაჩაჩანაკდა. მან მალე მოაბეზრა ქალღმერთს თავი ნუნუნითა და ჩივილით. რათა ბუზღუნა ბებრისგან თავი დაეხსნა, ეოსმა იგი ჭრიჭინად აქცია.

ეს სიუჟეტი სიმბოლურია. ადამიანი მარტო დღეგრძელობისკენ არ უნდა ესწრაფოდეს. იგი უნდა ცდილობდეს დიდხანს შეინარჩუნოს ღრმა აზროვნება და აქტიური საზოგადოებრივი შრომის უნარი, არ დაკარგოს მხნეობა, ენერგია, ინტერესი. ადამიანს მხოლოდ ერთხელ ეძლევა სიცოცხლე და ისიც მხოლოდ ერთი პირობით: ყოველდღე იბრძოლოს ამ სიცოცხლის დასაცავად, იბრძოლოს ყველაზე დიდი ბედნიერებისთვის — დედამიწაზე ცხოვრებისთვის, ადამიანს უნდა ახსოვდეს, რომ მის ორგანიზმში „თვითწვის“ პროცესი ხდება. უჯრედების ერთი ნაწილი კვდება, მეორე იბადება.

რამდენ ხანს უნდა იცოცხლოს ადამიანმა ბუნების ჩანაფიქრით? მეცნიერებამ ჯერჯერობით ვერ დაადგინა, რატომ ცოცხლობს დიდხანს ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს ზოგიერთი წარმომადგენელი: ამერიკული სეკვოია — ათას წლამდე, კუ — სამას წელიწადს, ვეშაპი — ოთხას წელიწადს. რატომ?

ადამიანის დღეგრძელობა მისი ცხოვრების პირობებზეა დამოკიდებული. ჩვენს ქვეყანაში, სადაც შექმნილია ყველაზე მოწინავე საზოგადოებრივი წყობილება, ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 32-დან (1913 წლის მონაცემები) 72 წლამდე გაიზარდა. სამუშაო დღის შემცირება, საბინაო მშენებლობის ფართოდ გაშლა, ფიზიკური კულტურის მასობრივად დანერგვა, ხალხის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საბჭოთა ადამიანის დღეგრძელობის საწინდარია.

დღეგრძელობის საიდუმლო მოძრაობაში და მასთან დაკავშირებულ ჟანგბადის ცვლაში მდგომარეობს. თანაბარი დატვირთვა და გამუდმებული წვრთნა ხელს უწყობს ყოველგვარი არასასურველი ზემოქმედებისადმი ადამიანის ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარის გაძლიერებას. სწავლულებმა ერთი საინტერესო ცდა ჩაატარეს: ლაბორატორიის თაგვების ერთ ნაწილს ჭოკზე ცოცვაში ავარჯიშებდნენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ ყველა თაგვს რადიაციის მომაკვდინებელ დოზას აძლევდნენ. რა გამოირკვა? გაწვრთნილი თაგვები გადარჩნენ, დანარჩენები კი დაიხოცნენ.

ახალგაზრდობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის დაწყება არასდროს არ არის გვიან, მაგრამ სჯობს ამისთვის სიჭაბუკიდანვე ვიზრუნოთ. სამწუხაროდ, ადამიანი ამ აქსიომას უმეტესად თავისი ცხოვრების მეორე ნახევარში ხვდება.

სწორი რეჟიმი და ფიზიკური კულტურა — აი, სიბერესთან ბრძოლის გასაღები.

საყურადღებოა რამდენიმე მაგალითი გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, 78 წლის გ. დელონეს ბოლო 50 წელიწადში მხოლოდ სამი კვირა დღე აქვს გატარებული შინ. დანარჩენი დასვენების დღეები მან ალპინისტურ და ტურისტულ ლაშქრობებს მოახმარა.

ნობელის პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი ი. ტამი 73 წლის ასაკში პამირის მთებში მოწყობილ ურთულეს ასვლებში მონაწილეობდა.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს გ. სპერანსკის თავისი ცხოვრების 91 წლის მანძილზე ერთხელაც არ დავიწყებია ძილის ტანვარჯიში (ვარჯიში ოთხი წლისამ დაიწყო). იგი არასდროს არ აძლევდა თავის თავს ლამით მუშაობის უფლებას, თუნდაც დიდი სურვილი ჰქონოდა. არასდროს არ ყოფილა სერიოზულად ავად.

ლევ ტოლსტოი ბევრჯერ ჩასულა ფეხით იასნაია პოლიანიდან მოსკოვში. 68 წლისა კროსში შეეჯიბრა პიანისტ გოლდენვეიზერს, რომელიც იმ დროს 20 წლისა იყო.

46 წლის ლუი პასტერს ტვინში სისხლი ჩაექცა. სწავლულს დამბლა დაეცა. სარეცელზე მიჯაჭვულს ბევრი დრო ჰქონდა საიმისოდ, რომ თავისი ავადმყოფობის მიზეზზე ეფიქრა. მან დაადგინა, რომ დამნაშავე იყო ცალმხრივი, დაძაბული გონებრივი მუშაობა და სრული უმოქმედობა. შემდეგ პასტერმა მტკიცე განრიგი შეადგინა და დაიწყო სისტემატური ფიზიკური ვარჯიში. შედეგად მეცნიერმა კიდევ 30 წელიწადს იცოცხლა სრულიად ჯანსაღმა და ყველა თავისი უდიდესი აღმოჩენა სწორედ ამ წლებში გააკეთა.

სორბონელმა ფილოსოფიის მასწავლებელმა ჟანა ლიბერმანმა თავისი ცხოვრების 78-ე წელს ერთ მშვენიერ დღეს სარკეში ჩაიხედა, სახეზე ნაოჭები შენიშნა და თავზარი დაეცა — ნუთუ დავბერდიო? ერთ-ერთმა მეგობარმა ურჩია, სეროზულად მოჭიდე სპორტს ხელი და ნურადფრის შეგეშინდებაო. 78 წლის ლიბერმანმა სპორტულ დარბაზს მიაკითხა და ძიუდოს ილეთების შესწავლა დაიწყო. შემდეგ იგი შეჯიბრებებშიც მონაწილეობდა და სიბერე, რა თქმა უნდა, დაავიწყდა.

ძალიან შემცდარია: ყველა, ვისაც ჯანმრთელობა მხოლოდ პირად საქმედ მიაჩნია. როცა ადამიანი ნაადრევად ბერდება, განა ეს საზოგადოების წინაშე დანაშაული არ არის? ეს აზრი ბევრჯერ გამოუთქვამს ვ. ლენინს. რა დასანანია, როცა ადამიანი, ბრწყინვალე სპეციალისტი, იძულებულია სამუშაო მიატოვოს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო!

ახალში შესვლის შემდეგ ადამიანი უფრო ნაკლებ მოძრაობს, ნაკლებ ენერგიას ხარჯავს. იწყება ცხიმის დაგროვება. ადამიანი სუქდება. სიმსუქნე იწვევს გულსისხლძარღვთა სისტემის გადატვირთვას. სწრაფად ვითარდება ათეროსკლეროზი, რასაც ხშირად მოსდევს ძალიან ცუდი შედეგი — ჰიპერტონიული დაავადება, გულის ინფარქტი ან ტვინში სისხლის ჩაქცევა.

ამერიკელი კარდიოლოგი ბ. უაიტი ამბობდა: „თუ არ გინდა გული დაგიავადდეს, თვალყური ადევნე. რომ 22 წლის შემდეგ შენი წონა ნორმას შეესაბამებოდეს. თამბაქოს ნუ ეწევი. გამუდმებით იმოძრავე. ბევრი იმუშავე. გახსოვდეს, რომ მუშაობას ჯერ კაცი არ მოუკლავს. ხშირად ისეირნე ველოსიპედით“.

საბჭოთა კავშირში იშვა მკაცრად მეცნიერული, ღრმად დასაბუთებული, ჭეშმარიტად ჯადოქრული ხერხი ხნიერი ადამიანისთვის ახალგაზრდობის დაბრუნებისა. დიახ, ეს გახლავთ ჯანმრთელობის უნივერსიტეტები, სადაც ხანდაზმულნი ეწაფებიან ტანვარჯიშს, სპორტულ თამაშებს, ცურვას. ჯანმრთელობის ჯგუფების წევრები თითქოს ჩვენს თვალწინ იცვლებიან. ზედმეტი სიმსუქნე ქრება, მატულობს კუნთების ძალა და სახსრების მოძრაობის უნარი. ადამიანი გრძნობს მეტ მხნეობას, ინტერესს გარე სამყაროსადმი.

ას წელიწადს დაუბერებლად ვიცოცხლოთო, — წერდა ვ. მაიაკოვსკი.

მაშ მოდით, ყველა, ვისაც ორმოცდაათი შეგისრულდათ, დაუშეგობრდით ფიზიკურ კულტურას, იზრუნეთ ჯანმრთელობის გაკეთებისთვის, რათა ას წელიწადს სიბერის შიში არ შემოგეპაროთ!

ლ. ცაბაგელი,

ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის საექიმო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის ასისტენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის ხარატი, კომუნისტური შრომის დამკვრელი ს. კამოევი ქარხნის ფიზკულტურულ ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობს. იგი სპორტის ოსტატია. კამოევის საუვარელი სახეობა წყალში ხტომაა, მაგრამ მას ხშირად ნახავთ სახროლეთზეც, ფრენბურთის, კალათბურთისა და ჩოგბურთის მოედნებზეც.

• • •

სურათებზე: ს. კამოევი დაზგასთან და სპორტული ასპარეზობისას.

თ. ჭეიშვილის

ტექსტი და ფოტოები.

სპორტის მოყვარულთათვის

„... თავისი დიდებით, თავისი პირადი მაგალითით პოდდუბნიმ სპორტული გმირობისკენ მოუწოდა ათასობით ჭაბუკს. ბევრი შემდეგში ცნობილი ათლეტი დიდი სპორტის ანბანს სწორედ ჭიდაობით ეზიარა და მერე სხვა სახეობებში გაითქვა სახელი. რაც შეეხება ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცებას, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პრ. დდუბნიმ, რომელიც თავისი გამოსვლებით ფიზიკური კულტურის სიყვარულს აღვივებდა მასებში, ერთმა გააკეთა ექიმთა მთელი ლეგიონის საქმე...

სკულპტორი ე. ვუჩეტიჩი თავის წიგნში „მხატვარი და ცხოვრება“ გვიამბობს, როგორ დაბატა 30-იან წლებში „ჩემპიონთა ჩემპიონის“ პორტრეტი. „ეს იყო რაღაც უზარმაზარი ადამიანი, ვეებერთელა ფიზიკური ძალის პატრონი, ჭეშმარიტი გოლიათი. პირდაპირ გამოიცა...“

დღეს პოდდუბნის ხსოვნის პატივსაცემად ტურნირები ტარდება. მსოფლიოს ბევრი ქვეყნის უძლიერესი მოჭიდაველები იბრძვიან, რათა ჯილდოდ მიიღონ მედალი პოდდუბნის გამოსახულებით...“

ეს ნაწყვეტი ამოღებულია დ. ჟუკოვის ნარკვევიდან „ჩემპიონთა ჩემპიონი“. იგი დაიბეჭდა კრებულში **„სპორტსმენები“**, რომელშიც შეტანილია, აგრეთვე, ნარკვევები ს. და გ. ზნამენსკიებზე, მოცურავეებზე ი. არტამონოვასა და ა. კაპჩინსკიზე, ფეხბურთელ გ. ფედოტოვზე, მოთხილამურეებზე გ. კულაკოვასა და ვ. მიაგკოვზე, მთამსვლელ მ. ხერგიანზე და სხვებზე.

წიგნი გამოსცა „მოლოდაია გვარდიამ“ სერიით „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“.

სერიით „სპორტი და პიროვნება“ „მოლოდაია გვარდიამ“ გამოსცა ცნობილი მძიმეწონოსანი მოკრივის, ევროპისა და სსრ კავშირის ექს-ჩემპიონ ა. შოციკასის წიგნი **„მეოთხე რაუნდი“**. ცნობილი ათლეტი ამ წიგნში გვესაუბრება სპორტის დახმარებით მოზარდის ხასიათის ჩამოყალიბებაზე.

„ფიზკულტურა ი სპორტმა“ გამოსცა:

„მთის ფერდობიდან ჩემპიონატის ნათხილამურევზე“. ამ წიგნში სახელგანთქმული ფინელი მოთხილამურე, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი ე. მიანტიერანტა გვიამბობს თავის თავზე, თავის გზაზე დიდ სპორტში, გვაძლევს სასარგებლო რჩევა-დარიგებებს (თარგმნა ნ. სმირნოვმ.).

„სპორტული ცურვა“. ეს წიგნი, რომლის ავტორია ცნობილი მწერალი ა.-ნ. შტაჰერტი (გდრ), დაინტერესებულ ბავშვებს დიდ დახმარებას გაუწევს ცურვის დამოუკიდებლად სწავლაში (თარგმნა ი. გოლოვკინმა).

„უიჩიტოელი რეკორდსმენი ჯიმ რაიანი“. წიგნის ავტორი კ. ნელსონი გვიამბობს სახელგანთქმული ამერიკელი მორბენლის, 1 და 2 მილზე, აგრეთვე, 1500 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენის ჯ. რაიანის სპორტულ გზაზე. (საკვლევი).



დოსაააფი ღონისძიებას სახავს

ამას წინათ გაიმართა დოსაააფის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პლენუმი. 1973 წლის მუშაობის შედეგებზე და მიმდინარე წლის ამოცანებზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა კომიტეტის თავმჯდომარე შ. ლემონჯავა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დოსაააფის ზუგდიდის საქალაქო ორგანიზაციამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მოსახლეობის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, სპორტის ტექნიკური სახეობების განვითარებაში, თანრიგოსანი სპორტსმენებისა და შშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადებაში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ნ. გუმბერიძემ (სამხედრო კომისარიატი), ა. მიშველიანმა (ენგურჰაღალდკომბინატის დოსაააფის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე), მ. ჩახაიამ (დოსაააფის რადიოკლუბის გამგე), რ. ჩემინავამ (მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელი), ბ. აბშილავამ (ქალაქის მილიციის განყოფილების უფროსი) და ა. კორძაიამ (ტირის ინსტრუქტორი).

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ხ. თორდია, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი თ. შამათავა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების გამგე ი. გელენავა.

შეიქმნა დოსაააფის ზუგდიდის შტატგარეშე საქალაქო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედაც არჩეულია მ. კუბალეიშვილი.

ბ. ალშიბაია.

(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.



ჩოხატაური

ფრენბურთში ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში პირველობა არავის დაუთმეს 1-ლი საშუალო სკოლის გოგონებმა.

• • •

8 მარტისადმი მიძღვნილ მოჭადრაკეთა რაიონულ პირველობაში გაიმარჯვა ც. გუდავაძემ (ავტოსადგური).

დ. ბურგენიძე.

ადიგენი

მაგიდის ჩოგბურთში მოსწავლეთა რაიონულ პირველობაში გაიმარჯვეს აბასთუმნის საშუალო სკოლის გოგონათა და ჭაბუკთა გუნდებმა.

ნ. მამულაშვილი,

სპორტსკოლის დირექტორი.

ბორი

აქ ჩატარდა მოსწავლეთა რაიონული პირად-გუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. გუნდურ-ასპარეზობაში გაიმარჯვეს ხიდისთავის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. პირად შეჯიბრებაში თავი ისახელეს გ. სირბილაძემ, გ. ხუროშვილმა და ბ. გოგიჩაიშვილმა.

გ. მთვარელიძე,

სპორტსკოლის დირექტორი.

წითელი წყაროს

ამას წინათ აქ მოეწყო რაიონული პირველობა ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ვაკთა 11 გუნდი. I ადგილი დაისაკუთრა რუსული საშუალო სკოლის ნაკრებმა.

• • •

გაიმართა რაიონული პირველობა ჭართულ ჭიდაობაში. სარბიელზე გამოვიდა ექვსი გუნდი. გუნდური შეჯიბრება მოიგო ქვემო ქედის საშუალო სკოლის კოლექტივმა. წონითი კატეგორიებს მიხედვით გაიმარჯვეს: შ. გოგიშვილმა, ნ. გადაევმა, ა. ყაფოჩაშვილმა, რ. მოსიევმა, გ. გონაშვილმა, ქ. გოგოლაშვილმა, ა. პაპაჩაშვილმა.

უ. წყარუაშვილი.

თერჯოლა

აქ გაიმართა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. გუნდურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს თერჯოლის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

ვ. კუტალაძე.



ᲣᲙᲣᲜᲡᲚᲘ ᲬᲚᲘ

Ვ. ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ

მე სტრელცოვზე ადრე დავტოვე ფეხბურთი. მალე „ტორპედოს“ უფროსი მწვრთნელის თანამდებობა შემომთავაზეს. ვყოყმანობდი, არ ვიცოდი, რა მექნა. მოთამაშეებსა და მწვრთნელს შორის რაღაც უხილავი ზღვარი უნდა არსებობდეს, უამისოდ მწვრთნელი წარმატებას ვერ მიაღწევს. მაგრამ როგორ გინდა გაავლო ეს ზღვარი, თუ დღევანდელი მოწაფეები ჯერ კიდევ გუშინ შენი პარტნიორები იყვნენ? დღეს უკვე უფლება აღარა გაქვს აპატრონ მათ ის სისუსტე, რაც უწინ შენ არ გიხეოდა და რაშიც შესაძლოა თავადაც სცოდავდი. დღეს უკვე ვალდებული ხარ შენს ამხანაგებს წაუყენო მკაცრი მოთხოვნები, რასაც ზოგჯერ თავადაც არ ასრულებდი და ეს მათ მშვენივრად იცოდნენ. ჯერ კიდევ გუშინ ზოგისთვის ვალია ვიყავი, ზოგისთვის ვალკა, ხვალიდან კი ყველასთვის ვალენტინ კოზმიჩი უნდა გავმხდარიყავი (აღარას ვამბობ იმ ცხოვრებისეულ სიბრძნესა და გამოცდილებაზე, რაც აუცილებელია ყველასთვის, ვინც გადაწყვეტს მოწიფული ხალხის აღმზრდელის როლი იტვირთოს. არ ვამბობ იმიტომ, რომ ეს ბევრად უფრო გვიან გავიგე, წლების შემდეგ).

მიბარებდნენ დირექტორთან, პარტკომში, პირობას მაძლევდნენ, ყველაფერში დაგეხმარებითო, პირველ ხანებში წარუმატებლობისთვის საყვედურს არ გეტყვითო. დიდხანს უარზე ვიდექი, ვყოყმანობდი, კიდევ და კიდევ ვთხოვდი, ცოტა მაცალეთ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება-მეთქი. შინაგანი ხმა მეუბნებოდა, ნუ დათანხმდებიო, მაგრამ საბოლოოდ მაინც დავთანხმდი. დავთანხმდი მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე ჩემმა ძველმა მეგობარმა ტორპედოელმა მითხრა:

— მიდი, კოზმიჩ. ჩვენი იმედი გქონდეს. ჩვენ შენთვის ერთგული დასაყრდენი და მხარდამჭერნი ვიქნებით. პირობას გაძლევთ.

მათ შორის სტრელცოვიც იყო.

უნდა ვნდობოდი თუ არა ჩემს ძველ ამხანაგს? ეს შეკითხვა აზრადაც არ მომსვლია. მას ჩემთვის არაერთხელ დაუმტკიცებია მეგობრობა, დაუმტკიცებია ალბათ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მე — მისთვის. აი, თუნდაც მაშინ, ბერლინის ექსპრესზე რომ დავაგდიანეთ. მაშინ ხომ მე ვიყავი ყველაფერში დამნაშავე. მე დავითანხმე ედიკი, რომ არ გვეჩქარა, მე დავარწმუნე, არ ვაგვიანებთ-მეთქი. სტრელცოვს ამაზე არასდ, არავისთან არ დასცდენია სიტყვა და პასუხი ჩემთან ერთად ავო. მატჩის დროსაც თითქოს ორივეს მაგიერ ის თამაშობდა.

მახსენდება მეორე შემთხვევაც:

ოდესაში „ჩერნომორეცთან“ ვთამაშობდით, რომელიც „ა“ კლასში სულ ახალი გადმოსული იყო. მინდორზე ერთი მცველი დამიყენეს, გვარი აღარც კი მახსოვს. სისხლი გამიშრა: როგორც კი ბურთს შევეხებოდი, ისე მირტყამდა, ლამის ფეხები მოუმტვრია. ერთ მომენტში ორივემ გისკუპეთ თავით მაღალი ბურთის მისაწვდომად და მცველმა იდაყვი მთელი ძალით ჩამცხო მუცელში — პირდაპირ მზის წნულში. მე დავეცი. რამდენიმე ხანს არათუ წამოდგომა, ამოსუნთქვაც კი არ შეძლო. კრიფში ამას ნოკაუტი ჰქვია. სტრელცოვი მოვიდა. ჯერ მე დამხედა, მერე მცველზე გადაიტანა მზერა.

— მაგას ვუჩვენებ სეირს! — თქვა და გამშორდა.

გავიდა წუთი და ორივემ დატოვა მინდორი. სტრელცოვი მსაჯმა გააძევა, მცველი გაიტანეს...

რა მეგობრობის მაგალითია ეს, ან რა გმირობაა კაცის გალახვა? — — იტყვის მკითხველი და მართალიც იქნება. მაგრამ ნუ გავიწყდებათ: სტრელცოვი მაშინ 18 წლისაც არ იყო, ამ ასაკში კი ყოველთვის სწორად როდი ვაფასებთ საკუთარ თუ ხვის საქციელს, მუდამ როდი ვახერხებთ გრძნობების მოთოკვას. სტრელცოვი ცუდად მოიქცა, მაგრამ მან მეგობრისთვის იძია შური. იგი მოქმედებდა პრინციპით, რომლითაც პატარა ბიჭები მოქმედებენ ყველგან და ყოველთვის: „სისხლი სისხლის წილ“.

სხვათა შორის, ასე უხეშად ძალიან ხშირად თამაშობდნენ თვით სტრელცოვის წინაალმდეგ. მცველები დაუნდობლად ურტყამდნენ, ისე დაუნდობლად, როგორც ალბათ არავის სხვას. მაგრამ იგი მათ პასუხს არასოდეს აძლევდა. არ აძლევდა, თუ საქმე მას ეხებოდა. ახლა კი მის ამხანაგს შეეხო...

მამ, განა შეიძლებოდა სტრელცოვის ერთგულებაში ეჭვი შემეტანა? მაგრამ თურმე მაინც უნდა შემეტანა: ჩვენ ხომ ამდენი წელიწადი ვიცნობდით ერთმანეთს...

ერთხელ სტრელცოვი ღამით სადღაც გაქრა შეკრებიდან. მარტო არ ყოფილა, ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი ახლდა, ნიჭიერი, მაგრამ უთავბოლო ბიჭი, რომელიც ასეთი უწესობითა და ლოთობით იღუპავდა თავს. ის ბიჭი თეი წლისა ძლივს იყო, მაგრამ უკვე უჭირდა თამაში, ხშირად მატჩის ბოლომდე ვერ ძლებდა — ძალა არ ჰყოფნიდა, სული ეხუთებოდა. ამ „გასეირნების“ შემდეგ ვცადე მესაუბრა მასთან. იგი ცდილობდა თავი დაეძვრინა, არ ტყდებოდა, ტყუოდა, მაგრამ საბოლოოდ დათმო: „ჰო, მე და სტრელცოვი წავედით“.

მერე სტრელცოვს მივაკითხე.

— წუხელ აქ იყავი?

— არა.

— აბა, სად?

— წასული ვიყავი.

— ვისთან ერთად?

— მარტო.

— ვიცი, რომ მარტო არ ყოფილხარ.

— მარტო ვიყავი.

— ვიცი, ვინც გახლდა.

— მარტო ვიყავი.

შვენიერად ეტყობოდა, ტყუილი ფერი გაკრული ჰქონდა, რომ მე ვიცოდი: სტრელცოვი არ წავიდოდა, იგი ვიღაცას უნდა დაეყოლიებინა, დაეთანხმებინა. ესმოდა ეს, მაგრამ არ ტყდებოდა.

რაღა თქმა უნდა, ამ დროს იგი გულში კიცხავდა თავის თავს: „ვალკას დავპირდი, დაგეხმარები-მეთქი და დავიღალატე. არ ვარგა. უკანასკნელია ჩემი ასეთი საქციელი, მაგრამ, რა ქნა. ბიჭს ხომ არ გავცემ?“

ვინ მოთვლის, კიდევ რამდენჯერ გამეორდა ეს „უკანასკნელი“ საქციელი.

ესე იგი, რა ვუწოდო სტრელცოვს, ცუდი ამხანაგი?

არა, სუსტი ადამიანი. ძლიერი ადამიანი ცხოვრების ხახს ირჩევს და მტკიცედ მიჰყვება, სტრელცოვს კი ყველა ბიძგი გზიდან აგდებდა, არნახული ტალანტი კი ასეთ წუთებში მის მთავარ მტრად იქცეოდა ხოლმე. ტალანტი ყველაფრის საზღაური იყო მისი უდიდესი ტალანტის წინაშე მწვრთნელები ქედს იხრიდნენ და ადვილად მიუტანებლნენ ხოლმე. მას გარკვეულ დრომდე ბევრ რამეს ანაზღაურებდა ხოლმე ცხოვრება. ხოლო, როცა დასჯიდა, სტრელცოვი არ წუწუნებდა, მაგრამ არც დასკვნების გამოტანა იცოდა.

მისი, როგორც ფეხბურთელის ცხოვრებიდან ამოვარდა საუკეთესო, ყველაზე ნაყოფიერი ექვსი წელი, ექვსი „ოქროს“ წელი, როცა ფეხბურთლის ნიჭი გაფურჩქვნის ხანაშია. და იგი ისე წავიდა, რომ თამაში ვერ დაამთავრა — ერთ შშვენიერ დღეს კუნთებმა უარი თქვეს მისი მძლავრი, ძმიმე სხეულის დაჭერაზე, ტრავმები ტანჯავდა, ბურთს ფიღარ ეწყოდა. იგი უკვე აღარ იყო მეტოქეთა რისხვა. იგი წავიდა ისე, რომ ყველაფერი, რისი გაკეთებაც თავისი ტალანტის წყალობით შეეძლო, არ გაუკეთებია. მან ვერ მიიღო ის სრული კმაყოფილება, რომელიც მხოლოდ იმ ადამიანის ხვედრია, ვინც საყვარელ საქმეს მთლიანად სწირავს თავს. ეს ექვსი წელიცა და ეს უდროო წასვლაც იყო საზღაური სულიერი სისუსტისა, რომლის დაძლევაც ამ ადამიანმა ვერ შეძლო.

პედაგოგიკაში არის ასეთი ტერმინი: „რთული ბავშვი“. ეს არც გაკიცხვაა და არც დაძრახვა, ეს „ცუდ ბავშვს“ არ ნიშნავს. ეს ნიშნავს, რომ ადამიანს სჭირდება განსაკუთრებული მიდგომა, შესაძლოა, განსაკუთრებული მოთმინება და ყურადღება აღმზრდელებისა და ყველა გარშემო მყოფის მხრიდან. ამ ადამიანთა რიცხვს, არ ვიცი, როგორ ვთქვა უფრო ზუსტად, „რთული მოწიფული ადამიანების“ თუ „რთული დიდი ბავშვების“ რიცხვს, ეკუთვნოდა სტრელცოვიც. მაგრამ ჩვენ, — მიდდეველობაში მყავს არა მარტო მწვრთნელები, არამედ ამხანაგებიც, მისი კლუბისა და ნაკრების ფეხბურთელები, მეგობრები, — ვერ ვამჩნევდით ყოველივე ამას. ჩვენს თვალში ყოველივე ამას მისი დიდი, არნახული ტალანტი ფარავდა.

იგი ჯარსკვლავი იყო და გარშემონი მის საქციელს სულ უბრალოდ ხსნიდნენ. მათ სტრელცოვს დაუსვეს ეს ცნობილი დიაგნოზი — „ვარსკვლავების სენი“. საქმე კი ბევრად რთული იყო.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 42, 45, 46, 47, 56, 57, 60.



ᲡᲚᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲭᲐᲠᲘ-74

● ᲘᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ, 25 მარტი. „იესტალის“ სპორტის სასახლეში მიმდინარეობს სსრ კავშირის ჩემპიონატი კრივში. მონაწილეთა შორის უკვე ვეღარ ვნახავთ სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონს, მოსკოველ ა. კამნევს (პირველი ქვესაშუალო წონა). უსტკამენოგორსკელ ა. ბოგატიუკთან შეხვედრაში ჩემპიონმა წამით მოადუნა ყურადღება და მეტოქის ძლიერი დარტყმის შედეგად იატაკზე გაიშლარა. მსაჯმა თვლა დაიწყო... ამკარა უპირატესობის გამო გამარჯვება ბოგატიუკს მიეკუთვნა. ქვეყნის ექს-ჩემპიონების — მოსკოველი ვ. სტრელნიკოვისა და სარატოველი ა. სემიონოვის პაექრობა ფინალსაც დაამშვენებდა, მაგრამ წელიწადს ისინი პირველ ბრძოლაში შეახვედრა ერთმანეთს. სამივე რაუნდი მოკრივეებმა მაღალი ტემპით, მწყვავე იერიშებში ჩაატარეს. შეხვედრის მიწურულს სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი სემიონოვი უფრო ზუსტი იყო. მეორე გამარჯვება იზეიმა ქვეყნის ჩემპიონმა, ვოლგოგრადელმა ვ. უდოვიკმა. მან ლიპეცკელ ა. ოვეჩკინს სძლია.

● ᲡᲝᲩᲘ, 25 მარტი. საბჭოთა ქვეყნის უძლიერესი გელოსიპედისტების მრავალდღიანი რბოლა ა. პიკუსის (სსრ კავშირი III) გამარჯვებით დასრულდა — 10:21.04. II ადგილზეა ა. ტიხონოვი (სსრ კავშირი I) — 10:21.41, III — ს. სინიცინი (სსრ კავშირი III) — 10:21.52. გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო იყო ქვეყნის მესამე ნაკრები—31:07.38. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ სსრ კავშირის პირველი გუნდი (31:08.59) და ქვეყნის მეორე ნაკრები (31:10.18).



ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ...

თბილისის უნივერსიტეტის სპორტკლუბი ერთ-ერთი უძლიერესია რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებს შორის. უნივერსიტეტელ სპორტსმენებს ბევრი გამარჯვებით უსახელებიათ თავი რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

ეს ფოტოსურათები სწორედ თბილისის უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზებშია გადაღებული. პირველ სურათზე თქვენ ხედავთ გეოგრაფიოგეოლოგიისა და ფილოსოფიის ფაკულტეტების II კურსის სტუდენტებს აკადემიურ მეცადინეობაზე; მეორე სურათზე აღბეჭდილია საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე, ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი, სპორტის ოსტატი რ. ფაშალიშვილი.

ა. გურასაშვილის ტექსტი და ფოტოები.



ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

შავიზღვისპირა ქალაქების საფეხბურთო მინდორებზე გრძელდება უმაღლესი ლიგის გუნდების წინასასეზონო საწვრთნელი შეხვედრები.

თბილისის დინამოელებმა გუშინწინ ლესელიძეში ითამაშეს ალმა-ათის „ქაირათთან“. მატჩი მოიგეს ალმაათელებმა — 1:0. „დინამო“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გაგოშიძე, ებრალიძე, კანთელაძე, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, ასათიანი, მჭედლიშვილი, გუცაევი, გ. ნოდია, წერეთელი.

გაგრაში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამო“ და ერევნის „არარატი“. ეფრიკიანის მიერ გატანილმა გოლმა გამარჯვება დინამოელებს მოუტანა — 1:0.

სსრ კავშირის მეორე ნაკრებმა სოჩის სტადიონზე ითამაშა დონეცკის „შახტიორთან“ და გადმარჯვა ანგარიშით 2:1.

ბურთები გაიტანეს: ნაკრებიდან — ფედოტოვმა და კალიჩინმ, „შახტიორიდან“ — გუბიჩმა.

ᲛᲝᲖᲐᲠᲓᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ...

გრძელდება საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა ჩემპიონატი. მოგვყავს IV ტურის ტექნიკური შედეგები:

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲖᲝᲜᲐ. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თელავი) 3:0, „ავაზა“ (თბილისი) — „განთიადი“ (თბილისი) 2:1, „დილა“ (გორი) — „დინამო“ (თბილისი) 1:2.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲖᲝᲜᲐ. „გურია“ (ლანჩხუთი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 0:0, „დინამო“ (ზუგდიდი) — განათლების განყოფილება (ქუთაისი) 1:2, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (გაგრა) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 4:2, „დინამო“ (სოხუმი) — „ოლიმპია“ (ფოთი) 1:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „დინამო“ (ბათუმი) 0:5.

მწვრთნელი და ხელოვანი

ჩვენი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა კარგად იცნობს სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს მძლეოსნობაში ევგენი გაგუას. მაგრამ ალბათ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ იგი ამავე დროს ჭედური ხელოვნების ოსტატია და თავისუფალ დროს თავის ამ მეორე საყვარელ საქმეს ახმარს. ბუნებრივია, მისი ნამუშევრების დიდი ნაწილი სპორტულ თემატიკას ეძღვნება.

რესპუბლიკურ და ცენტრალურ პრესაში, კერძოდ, ჟურნალ „ლიოგკაია ატლეტიკასა“ და გაზეთ „იზვესტიაში“ რამდენიმეჯერ დაიწერა ე. გაგუას ნამუშევრებზე. შარშან „იზვესტიის“ პრიზზე გამართულ ჰოკეისტთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ქართველი მწვრთნელის ერთ-ერთი ნამუშევარი უცხოური გუნდისათვის საჩუქრად შეარჩიეს. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნების მძლეოსნებს, კერძოდ, თბილისში ბოლო სამი წლის მანძილზე ჩატარებული საერთაშორისო შეჯიბრებების მონაწილე სიმაღლეზე მხტომელებს მთავარ პრიზებად აძლევდნენ ჭედურ ნამუშევარს მხტომელის გამოსახულებით, რომლის ავტორიც სწორედ ევგენი გაგუა გახლდათ.

ამ წერილში გესაუბრებით ე. გაგუას ბოლოდროინდელ ნამუშევრებზე, რომლებიც ვეოსპორტს ეძღვნება. ორ ნამუშევარზე გამოსახულია ველოსიპედისტი რბოლის მომენტში. ეს ნამუშევრები ერთმანეთის გამეორება როდია. ორივეს აქვს დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულება, ორივე ზუსტად გადმოგვცემს ველოსიპედისტთა შეჯიბრების დინამიკასა და დაძაბულობას.

ერთ-ერთი ეს ნამუშევარი საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის სახელით გადაეცა სამყაურულო ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, პოლონეთის ველოსპორტის ფედერაციის თავმჯდომარეს, გაზეთ „ტრიბუნა ლიუდუს“ რედაქციის სპორტული განყოფილების გამგეს ვ. გოლებიევსკის, რომელიც შარშან ოქტომბერში სტუმრად იყო თბილისში და ახალ ველოტრეკზე გამართული პირველი საერთაშორისო შეჯიბრების დახურვას დაესწრო (სხვათა შორის, მაშინ გოლებიევსკიმ გამოთქვა იმედი, რომ მეორე საერთაშორისო შეჯიბრებისთვის, რომელიც წლეულს უნდა ჩატარდეს, ტრიბუნების აგება უკვე დამთავრებული იქნება).

გაგუას მეორე ნამუშევარი კი ჩვენ წლეულს თებერვალში გადავეცით სანსებასტიანში ესპანეთის ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტ ლ. პუიგს. ამ დროს იქ იყვნენ ესპანეთის ფედერაციის სხვა მოღვაწეები, ველოკროსში 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორები.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ოსტატის ორივე ნამუშევარი ძალიან მოეწონათ პოლონეთისა და ესპანეთის ფედერაციათა წარმომადგენლებს.

ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, სადაც მოყვარულებიც და პროფესიონალებიც დამაჯერებლად გამიმარჯვეს ბელგიის ველოსიპედისტებმა, ჩვენ ბელგიის ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტს ა. ვან მოოზვეველდეს და პროფესიონალ ველოსიპედისტთა საერთაშორისო ფედერაციის გენერალურ მდივანს რ. გელტმაიერს გადავეცით მსოფლიოს უძლიერესი მრბოლელის ედი მერქსის დიდი პორტრეტი. ეს პორტრეტი ევგენი გაგუამ გაკეთა ქართული ჭედური ხელოვნების სტილით.

ბელგიელებიც და ამ დროს იქვე მყოფი ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის (უსი) ხელმძღვანელებიც აღტაცებული დარჩნენ ამ პორტრეტით. მათ ძალიან გაუკვირდათ, როცა გაიგეს, რომ პორტრეტის ავტორი იყო მოყვარული ოსტატი, მძლეოსანთა ერთ-ერთი მოწინავე მწვრთნელი.

ბელგიის ფედერაციის პრეზიდენტმა გვკითხა: პირადად ედი მერქსს გადავცეთ ეს საჩუქარი, თუ ფედერაციის შენობაში დავკიდოთ, რათა ყველამ ნახოსო? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ჩვენ თავად ბელგიის ფედერაციის ხელმძღვანელებს მივანდეთ.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა ე. გაგუას ერთ ძალიან საინტერესო ნამუშევარზე, რომელიც შესრულებულია შარშან ზაფხულში. ესაა ცნობილი ფრანგი მრბოლელის, „ტურ დე ფრანსში“ ხუთგზის გამარჯვებული ჟაკ ანკეტილის ჭედური გამოსახულება. ე. გაგუამ მუშაობის დროს გამოიყენა ანკეტილის ფოტოსურათი, რომელმაც თითქმის მთელი მსოფლიოს სპორტული გამოცემები შემოიარა. ამ სურათზე ცნობილი სპორტსმენი აღბეჭდილია მილანის „ვეგოლილის“ ტრეკზე, ერთსაათიან რბოლაში მსოფლიო რეკორდის დამყარების მომენტში. ავტორმა შეძლო იმდენად ზუსტად გადმოეცა ველოსიპედზე ანკეტილის ჯდომის მანერის თავისებურება, რომ სპეციალისტები შორიდან, კონტურით ცნობდნენ სახელგანთქმულ სპორტსმენს.

შარშან აგვისტოში პარიზში ვიყავით. ანკეტილი საფრანგეთის ჩრდილოეთში — ნორმანდიაში ცხოვრობს და ძალიან იშვიათად ჩადის დედაქალაქში. ამიტომ საფრანგეთის რადიოს და ტელევიზიის კომენტატორ რენე ბარდანს ვთხოვეთ გადაეცა მისთვის გაგუას ნამუშევარი. როგორც შემდეგ გვაცნობა რ. ბარდანმა, მას ეს სურათი ანკეტილისთვის გადაუცია ნოემბერში პარიზის სასტუმრო „პილტონში“. ამ სასტუმროში გამართულ თავყრილობაზე საფრანგეთის ფირმა „პერნოს“ პრიზები გადაეცათ მსოფლიოს უძლიერეს ველოსიპედისტებს ე. მერქსის, იტალიელი ფ. ჯიმონდისა და ესპანელი ლ. ოკანას მეთაურობით. ანკეტილი, ისევე როგორც ბევრი ცნობილი კულტურის მოღვაწე და კინოვარსკვლავი, სტუმრად იყო მიწვეული. სწორედ აქ გადასცეს მას ქართველი ოსტატის ნამუშევარი, რომელმაც ფრანგი ჟურნალისტის სიტყვით დამსწრეთა აღფრთოვანება გამოიწვია.

ჟაკ ანკეტილმა მადლობის ნიშნად თბილისში გამოგზავნა ღია ბარათი, რომელზეც იგი აღბეჭდილია „ფორდის“ გუნდის სპორტულ ფორმაში გამოწყობილი (იხ. სურათი). ანკეტილი ხომ თავისი ბრწყინვალე ოცწლიანი კარიერის ბოლო წლებში სწორედ „ფორდის“ სახელით გამოდიოდა.

ახალ-ახალი წარმატებები ვუსურვოთ ქართველ ოსტატს!

მ. ბარამია,
უხი-ს საერთაშორისო კომისარი.

ანეკდოტი

წაგებასაც ზეიჩვიეთ, სენიორ მეკინგ!

ნაბიჯ რა მეოთხედფინალური მატჩი ვ. კორჩნოისთან, ბრაზილიელმა დიდოსტატმა ე. მეკინგმა, რომელიც ცნობილი სკანდალისტია, სხვა ვერაფერი ნახა თავის გასამართლებლად იმის გარდა, რომ ეთქვა: საბჭოთა მოჭადრაკემ უპატიოსნო ილეთით გაიმარჯვაო.

— კორჩნოი თამაშის დროს რაღაც ხმებს გამოსცემდა, აწველებდა, გახზრახს ხმამაღლა ქშინავდა და ყველაფერს აკეთებდა, რომ ხელი შეეშალა ჩემთვის, — ამტკიცებს მეკინგი.

ეს კიდევ არაფერი. მთელი მატჩის მსვლელობაში ბრაზილიელს ეზვენებოდა, რომ დარბაზში ჩეტისმეტი ხმაური იდგა. იგი წარამარა წამოსტაბოდა ხოლმე სკამიდან, მიემართებოდა მსაჯებისკენ და სიჩუმეს მოითხოვდა. მატჩის მთავარმა არბიტრმა ბ. კაეიჩმა კი ბელგრადის „სპორტსკე ნოვოსტში“ ოფიციალურად განაცხადა, რომ დარბაზში სამარისებური სიჩუმე სუფევდა და, საერთოდ, მაყურებლები სანიმუშოდ იქცეოდნენ.

მეკინგი ამასაც არ ჰყაბულდება და უმატებს: „მე თავიდანვე შევამჩნიე, რომ კორჩნოის ხშირად ეძახდნენ საბჭოთა საელჩოდან და ტელეფონით რაღაცეებს ეუბნეოდნენ. დარწმუნებული ვარ, საბჭოთა კავშირში 20-25 მოჭადრაკე არჩევდა ჩვენს გადადებულ პარტიებს... კორჩნოის ტელეფონთან აძლევდნენ რჩევა-დარიგებას. ამიტომ ვერ შევძელი მასთან ბრძოლა“.

სინამდვილეში კორჩნოიმ მხოლოდ ორი გადადებული პარტია მოუგო მეკინგს და ბრაზილიელმა, უბრალოდ, ორივეჯერ ძალიან სუსტად ითამაშა. ბრალდება ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული და აბსურდულია. უბრალოდ, მეკინგი ჯერ ვერ შესჩვეოდა წაგებებს.

კალათბურთი და... გიგლია

ამერიკის ჟურნალმა „ინტელექჩუელ დიჯესტმა“ („რჩეული სტატიები ინტელექტუალებისთვის“) გამოაქვეყნა ვინმე ტონი სიმპსონის სტატია. სიმპსონი ტეხასის ქალაქ ჰიუსტონის ერთ-ერთ კოლეჯში ლვთისმეტყველებას კითხულობს და თან ამავე სასწავლებლის კალათბურთელთა გუნდს წვრთნის.

ზემოხსენებულ წერილში კი სინანულს გამოთქვამს ამერიკის კალათბურთელთა კლასის დაქვეითების გამო და ამ ფაქტს უკავშირებს... მოდაში გრძელი თმის შემოსვლას. გრძელი თმა მარტო მინდვრის წესიერად დანახვას როდი უშლის მოთამაშეებს. რაც მთავარია, თმამოშვებულ კალათბურთელებს ავიწყდებათ, რომ კაცები არიან. სწავლული თეოლოგი თავის მოსაზრებებს ამაგრებს ბიბლიიდან მოყვანილი ციტატებით და მაგალითად ასახელებს... იესო ქრისტეს. „მუდამ წელში გამართული, მუდამ კოხტად თმაშეკრეჭილი, იესო ქრისტე ნამდვილი სპორტსმენის მთამბეჭდილებას ახდენდა. ზოგიერთ დღევანდელ „ვარსკვლავს“ კი არ ჰგავდა“, — წერს სიმპსონი.

PRZEGLĄD SPORTOWY · Sport · SPORTSKE NOVOSTI · Wiejski Sport · Sportowiec · Czerwona Gwiazda

ამას წინათ ბელგრადის „სპორტმა“ ცნობილ მიმომხილველებს სთხოვა დაესახელებინათ ევროპის ხუთი უძლიერესი ფეხბურთელი. აი, სპეციალისტთა პასუხებიც:

შ. ვიმერი (იუნაიტედ პრესი): 1. მიულერი, 2. კრუიფი, 3. ჰიონესი, 4. მაცოლა, 5. ბონევი.

ბ. ფერანი („ფრანს ფუტბოლი“): 1. კრუიფი, 2. ძოფი, 3. ბრემნერი, 4. დეინა, 5. ეუსებიო.

ლ. ლუკაჩი („ნეპსაბადშაგი“): 1. კრუიფი, 2. ბეკენბაუერი, 3. ძოფი, 4. მიულერი, 5. ედსტრიომი.

ჰ. ბლანკენსდორფი („შტუტგარტერ ცაიტუნგი“): 1. ბეკენბაუერი, 2. კრუიფი, 3. ძოფი, 4. ნეცერი, 5. ჰიონესი.

ჯ. ვიტკამპი („დე ტელეგრაფი“): 1. კრუიფი, 2. ბრემნერი, 3. ეუსებიო, 4. ედსტრიომი, 5. ტომაშევსკი.

ბ. ლეკოკი („ლე სპორტი“): 1. კრუიფი, 2. ნეცერი, 3. მიულერი, 4. ეუსებიო, 5. ტომაშევსკი.

ჯ. ვარელა („ბარსელონა“): 1. კრუიფი, 2. ბეკენბაუერი, 3. ძოფი, 4. ასენსი, 5. მიულერი.

შ. ბურბენი („ლა ნოტე“): 1. ძოფი, 2. დეინა, 3. ედსტრიომი, 4. კრუიფი, 5. ფაკეტი.

ჯ. სანდოსი („მონდო დე სპორტივო“): 1. კრუიფი, 2. ეუსებიო, 3. მიულერი, 4. ბონევი, 5. ძოფი.

ევროპის ხუთეული

ფული ყველაფერი როდია!

ინგლისელ გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ, რომ ოდესღაც უძლიერესი „მანჩესტერ იუნაიტედი“ შარშან მწვრთნელმა დოჰერტიმ და მისმა შოტლანდიელმა „ლანდსკნეხტებმა“ გადაარჩინეს. წლევანდელი სეზონის დასაწყისში დოჰერტიმ გუნდის დირექტორატს 1.200.000 გირვანქა სტერლინგი გაიღებინა „მანჩესტერ იუნაიტედის“ გადასარჩენად, მაგრამ ვერაფერს გახდა: ეს გუნდი II ლიგაში გადასასვლელადაა განწირული.

70 მატჩი

ამდენი მატჩი იუგოსლავიის ნაკრებში არავის უთამაშია: დ. ჯაიჩმა ნაკრების კაპიტანმა, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდის“ ფეხბურთელმა, ამას წინათ გაიუქმა ძველი რეკორდი და, ეტყობა, კიდევ გააუმჯობესებს მას.

ჯაიჩს 500 მატჩზე მეტი აქვს ჩატარებული „ცრვენა ზვეზდაში“, სადაც ამას წინათ მე-300 გოლი გაიტანა ერთგული ჩემპიონატების ისტორიაში. მან ხუთი თამაში ჩაატარა მსოფლიოს და ევროპის ნაკრებ გუნდებში.

● ●

გაიმარჯვეს რუმინელებმა

პარიზი. გასულ შაბათს გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი საფრანგეთისა და რუმინეთის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს რუმინელებმა—1:0.

მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში

მონგოლეთი

შეიქმნა მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ქალთა I სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტი.

სპარტაკიადის პროგრამაშია მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, მშვილდოსნობა, ჭადრაკი.

მასობრივი შეჯიბრებები დაიწყება ივლისში, ხოლო ფინალი გაიმართება აგვისტოში, ულან-ბატორში.

პოლონეთი

ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიე) ყველა დროის საუკეთესო ესპადრონისტად მიიჩნია პოლონელი სპორტსმენი ეუი პავლოვსკი.

როცა ფიე ასახელებს საუკეთესოთა შორის საუკეთესოს, მხედველობაში დებულობს სპორტსმენის შედეგებს „ა“ კატეგორიის საერთაშორისო შეჯიბრებებში (მსოფლიო პირველობა, ოლიმპიური თამაშები, მარტინის თასი, ლუქსარდოს თასი, „ვოლოდიევსკის ხმალი“, ევროპის თასი და სხვ.). ე. პავლოვსკი მრავალი წლის მანძილზე დიდი წარმატებით გამოდიოდა „ა“ კატეგორიის ტურნირებში, არაერთხელ იყო მსოფლიო ჩემპიონი, ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი და სხვა დიდ შეჯიბრებებში გამარჯვებული.

12 გუნდის მონაწილეობით

სიღნაღის სპორტსკოლის დარბაზში გაიმართა რაიონის მოსწავლეთა პირად-გუნდური შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. ტურნირში მონაწილეობდა 12 გუნდი. გაგაცნობთ საპრიზო სამეულს: სიღნაღის, ნუკრიანის 1-ლი და წნორის მე-2 საშუალო სკოლებ.

გოგონებში გაიმარჯვა მ. ალადაშვილმა (სიღნაღის საშუალო სკოლა). II ადგილზე გავიდა ნ. ბეჟაშვილი (ნუკრიანის 1-ლი საშუალო სკოლა), III — ნ. ზურაბაშვილი (წნორის მე-2 საშუალო სკოლა). ჭაბუკებში დაუჩარცხელად ჩაატარა შეჯიბრება ო. დირსიაშვილმა (სიღნაღის საშუალო სკოლა). II ადგილზეა მ. გელაშვილი (წნორის 1-ლი საშუალო სკოლა), III — გ. კარაკეტოვი (წნორის მე-2 საშუალო სკოლა).

დაკომპლექტდა რაიონის ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაში.

თ. ბეჟაშვილი,
სიღნაღის ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი.

19 45

◆ ბაკურიანელი „მფრინავი მოთხილამურე“, 39 წლის გ. წაქაძე, რომელიც „დიდ სპორტს“ გამოეთხოვა, ჩრდილოეთის დღესასწაულში ტრამპლინიდან მხტომელთა შეჯიბრებას გახსნის კიროვსკში — იგი ხომ კიროვსკის სპატიო მოქალაქეა! ტურნირში ვეტერანი უკონკურსოდ იასპარეზებს. საქართველოს გუნდს ჩრდილოეთის დღესასწაულში სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ჩემპიონი მ. გავა უთავაცებს. მასთან ერთად გამოვლენ ჭაბუკი სპორტსმენები, ბაკურიანის „დინამოს“ ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელები პ. და მ. ბაკავევები. ამ შეჯიბრების შემდეგ საქართველოს „მფრინავი მოთხილამურეები“ იასპარეზებენ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელსაც „ხიბინის გაზაფხული“ ჰქვია. ამ ტურნირსაც წაქაძე გახსნის. ჩვენები უკვე გაფრინდნენ კიროვსკში.

რედაქტორი მ. ჯაჯაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02527